60

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/გ 1551-20

"29" 10 2020 წ.

დადგენილება №000424
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

29.10.2020წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა, ლევან ჯღარკავამ, განვიხილე 2020 წლის 29 ოქტომბრის №000424 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, შპს **„ჯეო ლიტ ინვესტი"-ს** (საიდენტიფიკაციო №400152197; მის: თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ც. დადიანის ქ., №7, კომერციული ფართი №2) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სოლომონ ქურდიანის ქუჩა, №4, 01.16.02.038.078 საკადასტრო კოდზე, **შპს „ჯეო ლიტ ინვესტი"-ს** მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ივნისის №3328621 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით (04.07.2017წ. AR1518138 №3371910 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში შპს „ჯეო ლიტ ინვესტი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე №01.16.02.038.078 საკადასტრო კოდზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა), კერძოდ ფასადების მოპირკეთება, ასევე მათი ღებვის ფერი არ შეესაბამება საპროექტოს. დამატებით მოწყობილია გათბობის ქვაბები გამწოვი მილებით, კონდიციონერები, სატელიტური თეფშები, სარეკლამო საშრობად განკუთვნილი ლითონის კონსტრუქციები. ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ტერიტორიაზე გაუქმებულია ფილით (მოკირწყლული გამწვანება) მოპირკეთება ხოლო მის ნაცვლად მოწყობილია ბეტონის საფარი, ასევე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები, საფეხურები, ღობე, ხოლო "A-p" ღერძის გარეთ გაუქმებულია გამწვანება. "d" ღერძის გარეთ **დამატებით მოწყობილია მოაჯირები.** წყალშემკრებ მილებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი, ასევე მათი ნაწილი დამატებითაა მოწყობილი. ნაწილობრივ შესავსებია ვიტრაჟის ძირები. ჭრილის ნახაზებში არ ფიქსირდება საკომუნიკაციო შახტები. მონოლითური და ბლოკის კედლები არ არის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ნაჩვენები განსხვავებული აღნიშვნით. გაუქმებულია რიგელების ნაწილი, ხოლო მათი ნაწილი დამატებითაა მოწყობილი. "6p-8p"- "Fp-Ep" მონაკვეთში, კიბის უჯრედში გაუქმებულია კედელი და მის ნაცვლად მოწყობილია მოაჯირი. ±0.000 ნიშნულის ზემოთ, "6-7" მონაკვეთში "A" ღერძთან ღიობში დამატებით მოწყობილია კედელი კარით. +19.50 და +26.00 ნიშნულებზე ქანობიანი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია ბრტყელი გადახურვა. ასევე ნაწილობრივ შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტი და ფორმა. +19.50 და +22.75 ნიშნულებზე "A" ღერძის გარეთ, "3" ღერძზე კედლის ნაცვლად მოწყობილია მოაჯირი. +19.50 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის სიმაღლეები. ამავე ნიშნულზე, "3" ღერძზე არსებულ ვიტრაჟში მოწყობილია კარი, ასევე "7" ღერძზე კედელში დამატებით მოწყობილია ღიობი კარით, ხოლო არსებული ვიტრაჟის გაბარიტი შეცვლილია. ტერიტორიაზე "1" ღერძის გარეთ, პარკინგთან არსებული დაბალი კაპიტალური კედლის ნაწილი, "D" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილი ღობის ნაწილი, ასევე "Fp" ღერძთან საყრდენი კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვარს. **"9-1" ფასადი:** +3.25 ნიშნულის ქვემოთ გაუქმებულია ბაზალტის ქვით მოპირკეთება. +6.50 ნიშნულთან, "7-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა. "1-9" **ფასადი:** "6-7" მონაკვეთში, კიბის უჯრედის ღიობში მინა-ბლოკის ნაცვლად მოწყობილია ლითონის გისოსები. ±0.000 ნიშნულის ქვემოთ, "1-6" მონაკვეთში არსებულ ღიობებში დამატებით მოწყობილია ლითონის გისოსები. -9.25 ნიშნულზე, "5" ღერძთან არსებულ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი "4" ღერძისკენ, **ასევე ამავე ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ღიობი კარით.** +6.50 ნიშნულთან, "3-4" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ტენტი. **"ა-დ" ფასადი:** +3.25 ნიშნულზე, "B-C" მონაკვეთში დასასრულებელია აივნის ფილის მოპირკეთება. **±0.000 ნიშნულის ქვემოთ:** გასატანია სამშენებლო ნარჩენები. გაუქმებულია საპროექტო კოლონების ნაწილი, ასევე დამატებით მოწყობილია სვეტები და მონოლითური კედლები, ასევე შეცვლილია არსებული კოლონების ნაწილის ფორმა და მასალა. დამატებით მოწყობილია ტიხრები. "A-P" ღერძზე ნაწილობრივ შეცვლილია კედლის სისქეები. -3.25 ნიშნულზე, "8p" ღერძზე, "Ep-Ap" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მინაბლოკის ღიობები. ამავე ნიშნულზე "F-P" ღერძთან დამატებით მოწყობილია ღიობი ვიტრაჟით. "6p-8p"- "Fp-Ep" მონაკვეთში გაუქმებულია ტამბური, ასევე შეცვლილია ტიხრების მდებარეობა და ფორმა. **±0.000 ნიშნულზე:** "A" ღერძთან, "3-6" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი და გაბარიტი. "A" ღერძის გარეთ, "6-7" მონაკვეთში ღიობში ნაწილობრივ მოწყობილია კედელი. "1" ღერძის გარეთ აივანზე მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია დაბალი კაპიტალური კედლები, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია ამავე აივნის გაბარიტი. "7p-8p" მონაკვეთში გაუქმებულია გამწვანება. "A" ღერძზე, "3-4" მონაკვეთში არსებული კოლონები მოსაპირკეთებელია. "A" და "2" ღერძების კვეთასთან შეცვლილია აივნის ფილის ფორმა. "6-7" მონაკვეთში გაზრდილია სადარბაზოს გაბარიტი. "2" და "6" ღერძების გარეთ, გეგმისა და ფასადების ნახაზები ნაწილობრივ არ შეესაბამება ერთმანეთს. გაზრდილია სართულის სიმაღლე. **+26.00 ნიშნულზე:** "6" ღერძზე არსებულ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი "5" ღერძისკენ. "6-7" და "B-A" მონაკვეთების კვეთაზე დამატებით მოწყობილია საფეხურები და ბაქანი. ამავე მონაკვეთში გაზრდილია ტექნიკური ოთახის სიმაღლე. "6-7" მონაკვეთში, "A" ღერძზე არსებულ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი.

ჭრილი 2-2: +28.60 ნიშნულზე გაუქმებულია პარაპეტი. "A" ღერძის გარეთ, +26.00 და +28.60 ნიშნულებს შორის გაუქმებულია ბაქანი. "A" ღერძზე +28.60 ნიშნულზე გაუქმებულია რიგელი.

2020 წლის 29 ოქტომბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა №000424 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის 2020 წლის 02 ოქტომბრის №10/01202763239-17 განცხადება და ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს „ჯეო ლიტ ინვესტი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სოლომონ ქურდიანის ქუჩა, №4, 01.16.02.038.078 საკადასტრო კოდზე, შპს „ჯეო ლიტ ინვესტი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ივნისის №3328621 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. **შპს „ჯეო ლიტ ინვესტი"** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, სოლომონ ქურდიანის ქუჩა, №4, 01.16.02.038.078 საკადასტრო კოდზე, პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობისათვის;

2. **შპს „ჯეო ლიტ ინვესტი"**-ს დაეკისროს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების** დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22**, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შპს „ჯეო ლიტ ინვესტი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი ლ. ჯღარკავა

ფასადების მოპირკეთება, ასევე მათი ღებვის ფერი არ შეესაბამება საპროექტოს. დამატებით მოწყობილია გათბობის ქვაბები გამწოვი მილებით, კონდენციონერები, სატელიტური თეფშები, სარეცხის საშრობად განკუთვნილი ლითონის კონსტრუქციები. ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ტერიტორიაზე გაუქმებულია ფილით (**მოკირწყლული გამწვანება**) მოპირკეთება ხოლო მის ნაცვლად მოწყობილია ბეტონის საფარი, ასევე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები, საფეხურები, ღობე, ხოლო "A-p" ღერძის გარეთ გაუქმებულია გამწვანება. **"d" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მოაჯირები.** წყალშემკრებ მილებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი, ასევე მათი ნაწილი დამატებითაა მოწყობილი. ნაწილობრივ შესავსებია ვიტრაჟის ძირები. ჭრილის ნახაზებში არ ფიქსირდება საკომუნიკაციო შახტები. მონოლითური და ბლოკის კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებული აღნიშვნით. გაუქმებულია რიგელების ნაწილი, ხოლო მათი ნაწილი დამატებითაა მოწყობილი. "6p-8p"- "Fp-Ep" მონაკვეთში, კიბის უჯრედში გაუქმებულია კედელი და მის ნაცვლად მოწყობილია მოაჯირი. ±0.000 ნიშნულის ზემოთ, "6-7" მონაკვეთში "A" ღერძთან ღიობში დამატებით მოწყობილია კედელი კარით.

+19.50 და +26.00 ნიშნულებზე ქანობიანი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია ბრტყელი გადახურვა. ასევე ნაწილობრივ შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტი და ფორმა.

+19.50 და +22.75 ნიშნულებზე "A" ღერძის გარეთ, "3" ღერძზე კედლის ნაცვლად მოწყობილია მოაჯირი. +19.50 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის სიმაღლეები. ამავე ნიშნულზე, "3" ღერძზე არსებულ ვიტრაჟში მოწყობილია კარი, ასევე "7" ღერძზე კედელში დამატებით მოწყობილია ღიობი კარით, ხოლო არსებული ვიტრაჟის გაბარიტი შეცვლილია.

ტერიტორიაზე "1" ღერძის გარეთ, პარკინგთან არსებული დაბალი კაპიტალური კედლის ნაწილი, "D" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილი ღობის ნაწილი, ასევე "Fp" ღერძთან საყრდენი კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვარს.

"9-1" ფასადი: +3.25 ნიშნულის ქვემოთ გაუქმებულია ბაზალტის ქვით მოპირკეთება. +6.50 ნიშნულთან, "7-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა.

"1-9" ფასადი: "6-7" მონაკვეთში, კიბის უჯრედის ღიობში მინა-ბლოკის ნაცვლად მოწყობილია ლითონის გისოსები. ±0.000 ნიშნულის ქვემოთ, "1-6" მონაკვეთში არსებულ ღიობებში დამატებით მოწყობილია ლითონის გისოსები. -9.25 ნიშნულზე, "5" ღერძთან არსებულ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი "4" ღერძისკენ, **ასევე ამავე ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ღიობი კარით.** +6.50 ნიშნულთან, "3-4" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ტენტი.

"ა-დ" ფასადი: +3.25 ნიშნულზე, "B-C" მონაკვეთში დასასრულებელია აივნის ფილის მოპირკეთება.

±0.000 ნიშნულის ქვემოთ: გასატანია სამშენებლო ნარჩენები. გაუქმებულია საპროექტო კოლონების ნაწილი, ასევე დამატებით მოწყობილია სვეტები და მონოლითური კედლები, ასევე შეცვლილია არსებული კოლონების ნაწილის ფორმა და მასალა. დამატებით მოწყობილია ტიხრები. "A-P" ღერძზე ნაწილობრივ შეცვლილია კედლის სისქეები. -3.25 ნიშნულზე, "8p" ღერძზე, "Ep-Ap" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მინაბლოკის ღიობები. ამავე ნიშნულზე "F-P" ღერძთან დამატებით მოწყობილია ღიობი ვიტრაჟით. "6p-8p"-"Fp-Ep" მონაკვეთში გაუქმებულია ტამბური, ასევე შეცვლილია ტიხრების მდებარეობა და ფორმა.

±0.000 ნიშნულზე: "A" ღერძთან, "3-6" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი და გაბარიტი. "A" ღერძის გარეთ, "6-7" მონაკვეთში ღიობში ნაწილობრივ მოწყობილია კედელი. "1" ღერძის გარეთ აივანზე მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია დაბალი კაპიტალური კედლები, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია ამავე აივნის გაბარიტი. "7p-8p" მონაკვეთში გაუქმებულია გამწვანება. "A" ღერძზე, "3-4" მონაკვეთში არსებული კოლონები მოსაპირკეთებელია. "A" და "2" ღერძების კვეთასთან შეცვლილია აივნის ფილის ფორმა. "6-7" მონაკვეთში გაზრდილია სადარბაზოს გაბარიტი. "2" და "6" ღერძების გარეთ, გეგმისა და ფასადების ნახაზები ნაწილობრივ არ შეესაბამება ერთმანეთს. გაზრდილია სართულის სიმაღლე.

+26.00 ნიშნულზე: "6" ღერძზე არსებულ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი "5" ღერძისკენ. "6-7" და "B-A" მონაკვეთების კვეთაზე დამატებით მოწყობილია საფეხურები და ბაქანი. ამავე მონაკვეთში გაზრდილია ტექნიკური ოთახის სიმაღლე. "6-7" მონაკვეთში, "A" ღერძზე არსებულ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი.

ჭრილი 2-2: +28.60 ნიშნულზე გაუქმებულია პარაპეტი. "A" ღერძის გარეთ, +26.00 და +28.60 ნიშნულებს შორის გაუქმებულია ბაქანი. "A" ღერძზე +28.60 ნიშნულზე გაუქმებულია რიგელი.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ---------- ა. ჟვანია

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000424

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 29.10.2020წ.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას;

ბ) დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) უფლებამოსილი ორგანოსთვის იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ზ)138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: _____

ობიექტის დასახელება და მისამართი: _____

შემოწმებით დადგინდა: _____

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

10.11.2020

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ დამრღვევი არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).
შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

საგადასახადო დავალება N
Payment Order N 1046855

რეფერენსი
Ref Num
176681263

თარიღი
Date 12/11/2020

გადამხდელი Sender	შპს ჯეო ლიტ ინვესტი, 400152197
გადამხდელის ანგარიში Sender's Acc.	GE35CR0000009455323602
გადამხდელის ბანკი Sender's Bank	სს "ბანკი ქართუ"
ბანკის კოდი Bank Code	CRTUGE22

თანხა
Amount

15000.00 GEL GEL

თანხა სიტყვებით
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია პირზე რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება Sender	შპს ჯეო ლიტ ინვესტი, 400152197
საიდენტიფიკაციო კოდი Sender's Tax Code	400152197

მიმღები Receiver	ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი Receiver's Acc.	300773263
მიმღების ბანკი/ხაზინა Receiver's Bank	"სახელმწიფო ხაზინა"
ბანკის კოდი Bank Code	TRESGE22
გადახდის დანიშნულება Operation Details	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო
დამატებითი ინფორმაცია Additional Information	დადგენილება 000424 29.10.20წ.სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი
Date
12/11/2020

ბანკში შემოსვლის თარიღი
Received
12/11/2020

ხელმოწერა Signature

ხელმოწერები:
Signatures:

სს „ბანკი ქართუ"
Cartu Bank JSC
204891652
CRTUGE22
www.ib.ge